**საბაკალავრო პროგრამის დასახელება:** კავკასიოლოგია / Caucasiology

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Caucasiology

**სწავლების ენა:** ქართული

**პროგრამის კოორდინატორი:** პროფესორი ცირა ბარამიძე

**პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:** კავკასიოლოგია, როგორც დარგი, საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდა კავკასიაში გავრცელებულია არაკავკასიური წარმოშობის ენები. იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებს ამ ხალხებთან ენობრივი და ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობები ოდითგანვე ჰქონდათ. ეს ურთიერთობები აისახა ენაშიც და კულტურაშიც. ჩვენ მიერ ახლად შექმნილ პროგრამებში წინა პლანზე ენის სწავლებაა წამოწეული. კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა დაყოფილია შვიდ მოდულად, რაც სტუდენტს ფართო არჩევანის საშუალებას აძლევს.

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის ოთხი მოდული იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძველზეა შექმნილი და გულისხმობს ქართულის მონათესავე მთის კავკასიურ ენათა შესწავლას. ოთხივე მოდულში გათვალისწინებულია თითო პრიორიტეტული კავკასიური ენის სწავლება, რათა კურსდამთავრებულს შეეძლოს ამ ენათა ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, კომუნიკაცია, თარგმნა და ტექსტის ლინგვისტური ანალიზი და ა.შ.
დანარჩენი მოდულები, კერძოდ ოსთმცოდნეობა და აზერბაიჯანმცოდნეობა, მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა მხარეთმცოდნეობის კუთხით. ხოლო, მოდული კავკასიის ხალხთა ისტორია რეგიონის ისტორიულ განვითარების ეტაპების შესწავლის საშუალებას იძლევა.

**სწავლის შედეგები:**

- იბერიულ-კავკასიური ენების პროგრამის სწავლების დროს მომავალი ბაკალავრი გაძლიერებით შეისწავლის რამდენიმე კავკასიურ ენას. პრიორიტეტული ენებია აფხაზური, ადიღეური, თაბასარანული, ხუნძური, უდიური და ჩეჩნური. პრიორიტეტული ენები ყოველ წელს სტუდენტთა არჩევანის შესაბამისად იცვლება. სტუდენტი, გარდა პრიორიტეტული ენებისა, მოისმენს რამდენიმე მთის კავკასიური ენის მიმოხილვით კურსს; ბაკალავრიატის დამთავრებისას ახალგაზრდას ერთ-ერთი იბერიულ-კავკასიური ენა ეცოდინება A2 დონეზე, ხოლო დანარჩენი საპროგრამო ენა A1 დონეზე და შეეძლება ამ ენაზე მოლაპარაკე პირთან კონტაქტი. გამომუშავებული ექნება მკვლევრისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. სტუდენტი, ამავდროულად, არჩეული მოდულის ფარგლებში შეისწავლის კონკრეტული რეგიონის ისტორიისა და კულტურის საკითხებს, რაც მას საშუალებას მისცემს მომავალში მაგისტრატურის პროგრამის შერჩევის დროს სწორად განსაზღვროს პროფესიული ორიენტირი.
- სტუდენტს ჩამოუყალიბდება მკაფიო წარმოდგენები კავკასიის, როგორც ერთიანი ისტორიულ-კულტურული სივრცის წარსულზე უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე: კავკასიაში მცხოვრები ცალკეული ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების როლზე ისტორიულ პროცესში. ეს ცოდნა მათ ხელს შეუწყობს უკეთ გაიგონ თანამედროვე ეთნო- და გეოპოლიტიკური რეალიები.

**დასაქმების სფეროები:** კავკასიოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება იმუშაოს ექსპერტ-კავკასიოლოგად სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასმედიაში, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრებში, ტურიზმის სფეროში.

**სწავლის გაგრძელების საშუალება:** ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლა განაგრძოს სწავლების მეორე საფეხურზე მაგისტრატურაში.

**ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა:** სასურველია, სტუდენტმა პროგრამა აირჩიოს არა უგვიანეს III სემესტრისა.

**პროგრამის მოცულობა:** რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

**შეფასების ზოგადი წესი:** სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

| | |
|---|---|
| 91 -100 | ფრიადი, A |
| 81-90 | ძალიან კარგი, B |
| 71-80 | კარგი, C |
| 61-70 | დამაკმაყოფილებელი, D |
| 51-60 | საკმარისი, E |
| 41-50 | ვერ ჩააბარა, FX |
| 0-40 | ჩაიჭრა, F |

**სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**
აუდიტორია (ფართი 40 კვ.მ). ბიბლიოთეკა (5000 ერთეული წიგნი) აქედან: ვ. ჯობაძის პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი (53 წიგნი) ნ. რომანოვის პირადი ბიბლიოთეკა (3000 ერთეული წიგნი)
ტექნიკური აღჭურვილობა: ორი კომპიუტერი, რომელთაგან ერთი ჩართულია ინტერნეტის ქსელში, ტელევიზორი კომპიუტერული პროექტორი სამი სლაიდოსკოპი დიგიტალური კამერა; ბიბლიოთეკაში დაცულია ვ. ჯობაძის მიერ შემონაწირი ფერადი სლაიდები.

## დამატებითი (minor) პროგრამა

**დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება:** კავკასიოლოგია

**სწავლების ენა:** ქართული

**პროგრამის კოორდინატორი:** პროფესორი ცირა ბარამიძე

**პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**
დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს კავკასიოლოგიის დარგში.

**სწავლის შედეგები:** დამატებითი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იბერიულ-კავკასიური ენების ამა თუ იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი პრობლემის ამოცნობა და მისი იდენტიფიცირება; კონკრეტული ენობრივი პრობლემის ამოცნობის შემდეგ მისი გადაჭრა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესწავლის დროს მიღებული ცოდნით; კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია კონკრეტული საკვლევი ამოცანის დაგეგმვა და მინიმალური ზედამხვედელობის პირობებში გადაწყვეტა ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენებით;

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

| | |
|---|---|
| 91 -100 | ფრიადი, A |
| 81-90 | ძალიან კარგი, B |
| 71-80 | კარგი, C |
| 61-70 | დამაკმაყოფილებელი, D |
| 51-60 | საკმარისი, E |
| 41-50 | ვერ ჩააბარა, FX |
| 0-40 | ჩაიჭრა, F |

**დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა:** პროგრამაზე დაიშვება ნებისმიერი ჰუმანიტარული ან არაჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტი

**პროგრამის მოცულობა:** დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

**ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა:** მე–3 სემესტრი.